

**2017-2020 წლების ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის
სამთავრობო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვის ანგარიში**

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, შემუშავდა „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის სამთავრობო სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის“, რომელიც მიმდინარე წლის 13 აპრილს საქართველოს მთავრობის №765 განკარგულებით დამტკიცდა.

სტრატეგია არის 4 წელზე გათვლილი საჯარო დოკუმენტი, რომელიც ემსახურება ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისადმი საქართველოს მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის ხელშეწყობას. ასევე, საქართველოს გაწევრიანების მიმართ ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერის გაზრდას. სტრატეგია განსაზღვრავს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხებზე სამთავრობო სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სტრატეგიაში განსაზღვრულია მიზნები, ამოცანები, ასევე, ძირითადი გზავნილები ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, განხორციელების მექანიზმები, ძირითადი სამიზნე აუდიტორიები, პარტნიორები და დაფინანსების წყაროები.

სტრატეგიის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით შემუშავდა 2017 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში ამოცანების მიხედვით დეტალურადაა გაწერილი განსახორციელებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელი უწყებები.

სახელმწიფო სტრუქტურებისა და სსიპ - „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ მიერ 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმის საშუალებით, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ და მოიცავს შეხვედრების, სემინარების, პრეზენტაციების, კონფერენციების, ბიზნეს ფორუმების, ფესტივალების, შემეცნებით-საინფორმაციო და მარკეტინგული კამპანიების, გამოფენების, კონკურსების ორგანიზებას.

ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების, ძირითადი არასწორი აღქმების და საზოგადოებაში არსებული ინფორმაციის ნაკლებობის ანალიზის საფუძველზე 2017 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში სახელმწიფო უწყებების მიერ განისაზღვრა შეხვედრების ძირითადი სამიზნე ჯგუფები: მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, მსჯავრდებულები, სასულიერო პირები, ადგილობრივი თვითმმართველობები, ფერმერები, ბიზნესმენები და ა.შ.

2017 წლის პირველ ნახევარში (იანვარი - ივნისი), სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები სამოქმედო გეგმაში არსებული 7 ამოცანის შესაბამისად განხორციელდა.

პირველი ამოცანის - საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ფარგლებში ჩატარდა 368-მდე აქტივობა, აქედან 140-მდე თბილისში და 225-მდე საქართველოს რეგიონებში. გაიმართა 170-მდე საინფორმაციო შეხვედრა 6264-მდე ადამიანთან, ასევე ჩატარდა 30-მდე სემინარი 660 მონაწილისთვის. აღნიშნული ამოცანის ფარგლებში პირდაპირი კომუნიკაცია განხორციელდა 21, 320-მდე მოქალაქესთან.

მეორე ამოცანის - საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ფარგლებში გაიმართა 92-მდე ღონისძიება, 36 საქართველოს დედაქალაქში და 53-მდე ღონისძიება რეგიონებში. ჩატარდა 52-მდე საინფორმაციო შეხვედრა 1124-მდე მოსახლესთან, ხოლო 1133-მდე ადამიანმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სახის 30-მდე სემინარში. პირდაპირი კომუნიკაცია 14, 300-მდე ადამიანთან განხორციელდა.

მესამე ამოცანის - სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება, ფარგლებში 345-მდე აქტივობა გაიმართა, აქედან 195-მდე თბილისში და 150-მდე საქართველოს რეგიონებში. 195-მდე საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 7851 ადამიანმა. ამასთან, ჩატარდა 15-მდე სემინარი, რომელშიც მონაწილეობა 280-მდე ადამიანმა მიიღო. აღნიშნულის ფარგლებში პირდაპირი კომუნიკაცია განხორციელდა 15, 300-ზე მეტ ადამიანთან.

საზოგადოებაში ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვის შესახებ მეოთხე ამოცანის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, თავდაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მიმდინარე პროცესების თაობაზე შემუშავდა და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით გავრცელდა ერთიანი გზავნილები, მათ შორის 2-3 მარტს გამართულ ნატოს სამხედრო კომიტეტის სხდომას, 10-11 აპრილს ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმსა და 26-30 მაისს გამართულ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიასთან დაკავშირებით.

მეხუთე ამოცანის - მოსახლეობაზე ანტი-დასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება, ფარგლებში 280-მდე ღონისძიება გაიმართა, რომელთაგან 20-მდე ღონისძიება თბილისში, ხოლო 260-მდე რეგიონებში ჩატარდა. 234 საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 17055-მდე ადამიანმა, ასევე 40-მდე სემინარი ჩატარდა 2885-მდე მოქალაქეს. პირდაპირი კომუნიკაცია კი განხორციელდა 19 900-მდე ადამიანთან.

მექვსე ამოცანის - ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში საქართველოს, როგორც ევროპული, დემოკრატიული ქვეყნის წარმოჩენა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ფარგლებში ჩატარებული 243 ღონისძიებიდან, 2 დედაქალაქში, 24 რეგიონებში და 217 საქართველოს

საზღვრებს გარეთ გაიმართა. 60-მდე საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 360-მდე, ხოლო 6 ტრენინგში 45-მდე ადამიანი. აღნიშნული ამოცანის ფარგლებში პირდაპირი კომუნიკაცია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ განხორციელდა 5000-მდე ადამიანთან.

მეშვიდე ამოცანის - ევროკავშირისა და ნატოს ინსტიტუტებსა და წევრ ქვეყნებში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ფარგლებში ღონისძიებების უმრავლესობა საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიმართა. ჩატარდა 82-მდე საინფორმაციო შეხვედრა და 6 ტრენინგი, ასევე, სხვადასხვა სახის აქტივობები, სულ 178-მდე ღონისძიება.

საანგარიშო პერიოდში, საერთო ჯამში განხორციელდა 1500-მდე აქტივობა მთელი საქართველოს მასშტაბით, რეგიონში, ქალაქსა თუ სოფელში, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ. განხორციელებული აქტივობებიდან 390-მდე აქტივობა ჩატარდა თბილისში, 710-მდე აქტივობა რეგიონებში და 395-მდე აქტივობა საქართველოს საზღვრებს გარეთ. ამასთან, შეხვედრის ფორმატში ჩატარდა 793-მდე აქტივობა და 130-მდე სემინარი/ტრენინგი, ხოლო საინფორმაციო ღონისძიების/კამპანიის (ტელე, რადიო, ბეჭდური მასალა) კომუნიკაცია განხორციელდა სრულიად საქართველოს მოსახლეობასთან.

საზღვარგარეთ განხორციელებული აქტივობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა შინაარსის საერთაშორისო გამოფენები, მარკეტინგული კამპანიები, ფესტივალები, ბიზნეს ფორუმები/კონფერენციები, შეხვედრები და სასწავლო ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული სემინარები/ტრენინგები.

საინფორმაციო-შემცნებითი კამპანიების ფარგლებში სხვადასხვა თემაზე, მათ შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებზე მომზადდა აუდიო-ვიდეო მასალა: ტელე-რადიო გადაცემები, ვიდეო-როლები, სოციალური კლიპები და სატელევიზიო გადაცემები. აუდიო-ვიდეო მასალის გარდა, საინფორმაციო კამპანიები მოიცავდა ბეჭდურ მედიასაც: ბროშურები, ფლაერები, სტენდები, სტატიები, ჟურნალები, წიგნი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის ვიდეო, აუდიო და ბეჭდური მასალა ითარგმნა და გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, აფხაზური, რუსული).